ხელშეკრულება №3/413

ქ. თბილისი 14 დეკემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“** (შემდგომში - *„მაუწყებელი“*), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თინათინ ბერძენიშვილის სახით, და

მეორე მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში - *„მიმღები“*), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის პაატა დოლიძის სახით (შემდგომში *„მხარეები“*)

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდვაზე ვადგენთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, *მაუწყებელი* არაუგიანეს 2016 წლის 17 დეკემბრისა გადასცემს *მიმღებს* მის საკუთრებაში არსებულ, არქივში დაცულ ვიდეო მასალის ჩანაწერს, (შემდგომში „ჩანაწერი“) **(CPV 92100000).** არაკომერციული გამოყენების მიზნით, კერძოდ აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გასაშვებად.
მიმღებს გადაეცემა შემდეგი მასალის ჩანაწერი:
1. ი. ციციშვილი თბილისის ძველი უბნების რესტავრაციის შესახებ (1978 წ. ქრონომეტრაჟი 87 წმ);
2. ი. ციციშვილის სიტყვით გამოსვლა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთ. სხდომაზე (1987 წ. ქრონომეტრაჟი 120 წმ.)
3. ი. ციციშვილი დნეპრის ცნობილი ხიდის მშენებლობის შესახებ (1971 წ. ქრონომეტრაჟი 115 წმ.).
4. საპატიო მოქალაქეების დაჯილდოვება – ი. ციციშვილი (1985 წ. ქრონომეტრაჟი 74 წმ.)
5. ი. ციციშვილი თავისი სტუდენტებისა და პეკინის ქუჩის შესახებ (1979 წ. ქრონომეტრაჟი 45 წმ.).

1.2. მასალის ჩაწერა განხორციელდება *მაუწყებლის* **DVD** დისკზე.

მუხლი 2. ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტში მითითებული ჩანაწერის სანაცვლოდ *მიმღები* უხდის *მაუწყებელს* **183,75 (ასოთხმოცდასამი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული საფასური განისაზღვრება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2010 წლის 5 ნოემბრის №153 ბრძანების საფუძველზე.

2.3. ხელშეკრულების ამ მუხლის 2.1. პუნქტში მითითებული საფასური *მიმღებმა მაუწყებელს* უნდა გადაუხადოს აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა.

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ჩანაწერის გადაცემაზე კონტროლს ახორციელებს "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივის ხელმძღვანელი გიორგი ჩართოლანი.

2.5. *მიმღების მხრიდან მიღება-ჩაბარებას განახორციელებს* ***საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს*** *თანამშრომლები:ეკატერინე თაბუკაშვილი და ნატო კალმახელიძე.*

მუხლი 3. განსაკუთრებული პირობები

3.1. *მაუწყებელი* ადასტურებს, რომ იგი ფლობს ყველა საავტორო და მომიჯნავე უფლებას წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტში მითითებულ ჩანაწერზე.

3.2. ჩანაწერის *მიმღებისთვის* გადაცემა ხორციელდება არაკომერციული მიზნით, არაექსკლუზიური უფლებით, კერძოდ აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გასაშვებად.

3.3. *მიმღები* ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა არ დაუშვას მის მიერ წინამ-დებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული ჩანაწერის მესამე პირების მიერ უკანონო ტირაჟირება და გამოყენება.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

4.1. იმ შემთხვევაში, თუ კი *მიმღების* მიერ საფასური არ იქნება გადახდილი ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.3. პუნქტში მითითებულ ვადაში, *მაუწყებელს* უფლება აქვს დააკისროს მას პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ *მიმღების* მიერ დარღვეული იქნება ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, მას დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ასეთი დარღვევის თითოეული შემთხვევისათვის.

4.3 თუ *მაუწყებელი* არ გადასცემს *მიმღებს* ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ ჩანაწერს ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში, *მიმღებს* უფლება აქვს დააკისროს მას პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების 0.02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 3 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორცხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული *მაუწ-ყებლის* და/ან *მიმღების* შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინას-წარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეს-რულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლე-ნისაგან.

მუხლი 7. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრუ-ლებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მუხლი 8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

სსიპ **„საზოგადოებრივი მაუწყებელი“** მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163 საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი _ TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0778 7128 გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი .. .. თინათინ ტეიძენიშვილი	**სსიპ** **„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“** მის.: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №5 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 562 311 საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი _ TRESGE22 ს/ს # GE24NB0330100200165022 გენერალური დირექტორის მოადგილე .. .. პაატა დოლიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

14 დეკემბერი, 2016 წელი

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე უფლებამოსილი წევრი ვადასტურებთ, რომ **სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს** მიერ **ვიდეომომსახურების შესყიდვის პროცედურაში** ხელშეკრულება #3/413 14.12.2016წ. ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გენერალური დირექტორის მოადგილე

პაატა დოლიძე

ჯგუფის წევრები:

ეკატერინე თაბუკაშვილი

ნატო კალმახელიძე